ინფორმაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში ოჯახში ძალადობის მსხვერპლი იმიგრანტების სამართლებრივი უფლებების შესახებ და ფაქტები იმიგრაციის თაობაზე ქორწინების გზით

ბუკლეტის დანიშნულება:
საზოგადოდ, უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით იმიგრანტები განსაკუთრებით დაუცველნი არიან იმის გამო, რომ მათი უმრავლესობა ვერ საუბრობს ინგლისურად, ხშირად მოწყვეტილია ოჯახს და მეგობრებს, და შესაძლოა არ იცნობდნენ შეერთებული შტატების კანონმდებლობას. ამ მიზეზთა გამო იმიგრანტები ხშირად შიშობენ და ვერ ბედავენ მათ მიმართ განხორციელებული ოჯახში ძალადობის შესახებ შეატყობინონ პოლიციას, ან შეეცადონ სხვა სახის დახმარების მიღებას. ამგვარი შიში მრავალ იმიგრანტს ძალადობრივი ურთიერთობის პირობებში დარჩენას აიძულებს.

ამ ბუკლეტში განმარტებულია ოჯახში ძალადობა და გთავაზობთ ინფორმაციას შეერთებულ შტატებში თქვენი სამართლებრივი უფლებების შესახებ. „საერთაშორისო პროფესიონალი შუამავლების მეშვეობით დაქორწინების შესახებ რეგულირების აქტი“ (შემდეგში, „აქტი“) აშშ-ის მთავრობას ავალდებულებს იმიგრირებულ უცხო ქვეყნის მოქალაქე საცოლეს (საქმროს) და მეუღლეებს მიაწოდოს ინფორმაცია თავიანთი უფლებების შესახებ, ასევე მათი ამერიკელი საცოლეების(საქმროების) და მეუღლეების წარსული ნასამართლობის, ან ოჯახში ძალადობის შესახებ. აღნიშნული აქტის ერთ-ერთი მიზანია იმიგრირებული საცოლების(საქმროების) და მეუღლეებისათვის იმიგრაციის პროცესის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიწოდება, აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ მიიღონ დახმარება იმ შემთხვევაში, თუ მათი ურთიერთობა ძალადობრივ ხასიათს შეიძენს.

რა არის ოჯახში ძალადობა?
ოჯახში ძალადობა არის განსაზღვრული ქცევა, როდესაც ერთი ინტიმური პარტნიორი, ან მეუღლე ემუქრება, ან ახორციელებს ძალადობას მეორე პარტნიორის მიმართ. ძალადობა შესაძლოა მოიცავდეს ფიზიკურ დაიზიანებას, სექსუალურ ურთიერთობებს ძალადობით, ფსიქოლოგიურ მანიპულაციას (მათ შორის იზოლირებას, ან დაშინებას), ეკონომიკასთან და/ან იმიგრაციასთან დაკავშირებულ მუქარას.

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ძალადობის ოფიციალურად აღრიცხული ინციდენტების უმეტეს შემთხვევაში ადგილი ჰქონდა კაცების მიერ ქალთა, ან ბავშვთა მიმართ ძალადობის განხორციელებას, ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი შესაძლოა კაცებიც იყვნენ.

ოჯახში ძალადობა შესაძლოა მოიცავდეს <u>სექსუალურ ძალადობას</u>, ბავშვის მიმართ ძალადობას, ან სხვა ძალადობრივ დანაშაულებს. სექსუალური ძალადობა არის ნებისმიერი სახის სექსუალური ურთიერთობა თქვენი თანხმობის გარეშე თუნდაც თქვენს მეუღლესთან, და სექსუალური ძალადობა შესაძლოა ჩაიდინოს ნებისმიერმა პირმა. <u>ბავშვის მიმართ ძალადობა</u> მოიცავს: ფიზიკურ ძალადობას (სხეულის ნებისმიერი არაშემთხვევითი დაზიანება, მათ შორის გადამეტებული დასჯა), ფიზიკური საჭიროებების უგულებელყოფას (ვერ უზრუნველყოფს საკვებით, საცხოვრებელი ადგილით, სამედიცინო დახმარებით, ან მეთვალყურეობის გარეშე დატოვება), სექსუალურ ძალადობას და ფსიქოლოგიურ ძალადობას (დამუქრება, არ აჩვენებს სიყვარულს, არ უწევს მხარდაჭერას ან მიმართულების მიცემას).

ყველა ვითარებაში ოჯახში ძალადობა, სექსუალური ძალადობა, და ბავშვის მიმართ ძალადობა უკანონოა შეერთებულ შტატებში. შეერთებულ შტატებში ყველა პირი (რასის, კანის ფერის, რელიგიის, სქესის, ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, ან საიმიგრაციო სტატუსის მიუხედავად) გარანტირებულად არიან დაცულნი ძალადობისაგან კანონმდებლობის მიხედვით. ოჯახში ძალადობის ნებისმიერ მსხვერპლს საიმიგრაციო ან მოქალაქეობის სტატუსის მიუხედავად შეუძლია მოითხოვოს დახმარება. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი იმიგრანტი შესაძლოა დაექვემდებაროს საიმიგრაციო დაცვას.

თუ თქვენ სახლში ოჯახში ძალადობას განიცდით, თქვენ მარტო არ ხართ. ამ ბუკლეტის მიზანია დაგეხმაროთ აშშ-ის კანონმდებლობის აღქმაში და იმაში, თუ როგორ უნდა მიიღოთ დახმარება საჭიროების შემთხვევაში.

რა სამართლებრივი უფლებები გააჩნიათ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთ შეერთებულ შტატებში?
შეერთებულ შტატებში ყველა პირი, მიუხედავად მათი საიმიგრაციო ან მოქალაქეობის სტატუსისა, სარგებლობს ძირითადი გარანტირებული დაცვით როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის კანონმდებლობით. ის კანონები, რომლითაც რეგულირდება საოჯახო ურთიერთობები, ითვალისწინებს:

- უფლებას მოიპოვოთ დაცვის ორდერი თქვენთვის და თქვენი შვილისთვის (შვილებისთვის).
- სასამართლოს განკარგულებით ოფიციალური დაშორება თქვენი მეუღლის თანხმობის გარეშე.
- ქორწინების პერიოდში შეძენილი გარკვეული ქონების ნაწილის მიღების უფლება. განქორწინების შემთხვევაში სასამართლო გაყოფს ნებისმიერ ქონებას, ან ფინანსურ აქტივებს, რომელიც თქვენ და თქვენს მეუღლეს ერთობლივად გაქვთ.
- შვილის (შვილების) მეურვეობის მოთხოვნის და ფინანსური მხარდაჭერის უფლება.

21 წლის ასაკამდე შვილების მშობლებს ხშირად მოეთხოვებათ იმ შვილისათვის სარჩოს (ალიმენტის) გადახდა, რომელიც მათთან არ ცხოვრობს.

კონსულტაცია გაიარეთ საოჯახო სამართლის მცოდნე იურისტთან, რომელიც იმიგრანტებთან მუშაობს, და განიხილეთ, თუ რა ზეგავლენას მოახდენს თქვენზე, ან როგორ დაგეხმარებათ საოჯახო სამართლით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული შესაძლებლობები.

აშშ-ის კანონმდებლობის შესაბამისად საიმიგრაციო, ან მოქალაქეობის სტატუსის მიუხედავად თქვენ შეგიძლიათ დაუკავშირდეთ პოლიციას დახმარებისათვის, ან მოიპოვოთ დაცვის ორდერი.

დარეკეთ 911-ზე იმ შემთხვევაში, თუ თქვენ და თქვენი შვილი (შვილები) საფრთხეშია. პოლიციამ შესაძლოა დააკავოს თქვენი საქმრო(საცოლე), მეუღლე, პარტნიორი, ან სხვა პირი, თუ მათ მიაჩნიათ, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა. თქვენ პოლიციას უნდა უთხრათ ნებისმიერი მომხდარი ძალადობის შესახებ, თუნდაც მას წარსულში ჰქონდეს ადგილი, და აჩვენეთ ნებისმიერი დაზიანება. ნებისმიერ პირს, მიუხედავად მისი საიმიგრაციო, ან მოქალაქეობის სტატუსისა, შეუძლია განაცხადოს დანაშაულის შესახებ.

ამასთან, თუ თქვენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ხართ, შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს დაცვის ორდერის მისაღებად. სასამართლოს მიერ გაცემული დაცვის ორდერით, ან შემზღუდავი ორდერით შეიძლება აეკრძალოს თქვენს მიმართ მოძალადეს, რომ დაგირეკოთ, დაგიკავშირდეთ, მოგიახლოვდეთ, ან ზიანი მოგაყენოთ თქვენ, თქვენს შვილს(შვილებს), ან ოჯახის სხვა წევრებს. იმ შემთხვევაში, თუ მოძალადე დაარღვევს შემზღუდავ ორდერს, თქვენ შეგიძლიათ დაუკავშირდეთ პოლიციას, რომელმაც შესაძლოა დააკავოს მოძალადე. დაცვის ორდერების მოთხოვნის განაცხადების ფორმები ხელმისაწვდომია უმეტეს სასამართლოებში, პოლიციის განყოფილებებში, ქალთა თავშესაფრებსა და იურიდიული მომსახურების ოფისებში.

იმ შემთხვევაში, თუ ძალადობის ჩამდენი გადანაშაულებთ დანაშაულის ჩადენაში, საიმიგრაციო ან მოქალაქეობის სტატუსის მიუხედავად, თქვენ გაქვთ ძირითადი უფლებები, მათ შორის: ადვოკატთან დალაპარაკების უფლება; ადვოკატის დასწრების გარეშე შეკითხვებზე პაუსუხის არ გაცემის უფლება; სასამართლოში გამოხვიდეთ საკუთარი თავის დასაცავად. მნიშვნელოვანია, რომ დაელაპარაკოთ როგორც საიმიგრაციო ადვოკატს, ასევე სისხლის სამართლის პრაქტიკოს ადვოკატს.

რა მომსახურებებით სარგებლობა შეუძლიათ ოჯახში ძალადობის და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთ შეერთებულ შტატებში? შეერთებულ შტატებში სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლთ, მიუხედავათ მათი საიმიგრაციო, ან მოქალაქეობის სტატუსისა, შეუძლიათ მიიღონ სამთავრობო, ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული დახმარება, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს კონსულტაციებს, თარჯიმნების მომსახურებას, დროებით თავშესაფარში განთავსებას, და ფულად დახმარებასაც კი.

საერთოეროვნული სატელეფონო ნომრების, ანუ ქვემოთ მითითებული „ცხელი ხაზების სატელეფონო ნომრების“, ოპერატორები არიან სპეციალურად მომზადებული იმისათვის, რომ მსხვერპლთ დაეხმარნენ დღეში 24 საათის განმავლობაში უფასოდ. ასევე შეგიძლიათ ისარგებლოთ თარჯიმნების მომსახურებით და ამ ნომრებიდან შეუძლიათ დაგაკავშირონ სხვა უფასო მომსახურებების მისაღებად თქვენი ადგილსამყოფელის მიხედვით, მათ შორის დროებითი თავშესაფრის, სამედიცინო დახმარების, კონსულტაციების, და იურიდიული რჩევის მისაღებად. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ გაქვთ ფინანსური შესაძლებლობა ადვოკატს გადაუხადოთ ჰონორარი, შესაძლოა თქვენ დააკმაყოფილოთ იმიგრანტებთან დაკავშირებული დანაშაულების, ან ოჯახში ძალადობის მსხვეპლთათვის განკუთვნილი უფასო ან დაბალფასიანი იურიდიული დახმარების პროგრამაში მონაწილეობის მიღების პირობები.

ოჯახში ძალადობის ცხელი ხაზის საერთოეროვნული სატელეფონო ნომერი
1-800-799-SAFE (1-800-799-7233)
1-800-787-3224 (TTY)
www.ndvh.org

გაუპატიურების, ძალადობის და ინცესტის ეროვნული ქსელის სექსუალური ძალადობის ცხელი ხაზის საერთოეროვნული სატელეფონო ნომერი
(RAINN)
1-800-656-HOPE (1-800-656-4673)
www.rainn.org

უგზოუკვლოდ დაკარგული და ექსპლუატირებული ბავშვების ეროვნული ცენტრი
1-800-THE-LOST (1-800-843-5678)
www.missingkids.com

დანაშაულების მსხვერპლთა ეროვნული ცენტრი
1-800-FYI-CALL (1-800-394-2255)
1-800-211-7996 (TTY)
www.ncvc.org

შენიშვნა: ეს არიან ის ორგანიზაციები, რომელთა ძირითადი მისიაა უსაფრთხოება და დაცვა.

თუ მე ვარ ოჯახში ძალადობის, ან სხვა დანაშაულის მსხვეპლი, იმიგრაციის მიზნით რა ალტერნატიული ვარიანტები არსებობს ჩემთვის?
არსებობს სამი გზა იმისათვის, რომ იმიგრანტებმა, რომლებიც გახდნენ ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის და ზოგიერთი სხვა სპეციფიკური დანაშაულების მსხვერპლნი, შეიტანონ განაცხადი, რათა მათ და მათმა შვილმა(შვილებმა) მიიღონ კანონიერი საიმიგრაციო სტატუსი. მსხვერპლის განაცხადი კონფიდენციალურია და არავინ, მათ შორის მოძალადეს, დანაშაულის ჩამდენს, ან ოჯახის წევრს არ შეატყობინებენ, რომ თქვენ შემოტანილი გაქვთ განაცხადი.

- ქალთა მიმართ ძალადობის აქტის (VAWA) მიხედვით სამართლებრივი სტატუსის მისაღებად თვით მიმართვა პეტიციის წარდგენით
- VAWA-ის შესაბამისად მუდმივი მაცხოვრებლის სტატუსის მოხსნის გაუქმება
- U-არაიმიგრანტის სტატუსი (დანაშაულის მსხვერპლთათვის)

თითოეულ ამ საიმიგრაციო შეღავათის მისაღებად განსაზღვრულია კონკრეტული მოთხოვნები. გაიარეთ კონსულტაცია საიმიგრაციო ადვოკატთან, რომელიც მუშაობს ოჯახში ძალადობის მსხვეპლთა დასაცავად, რათა განიხილოთ, თუ რა ზეგავლენას მოახდენს და დაგეხმარებათ თითოეული ზემოაღნიშნული საიმიგრაციო შეღავათი.

როგორ წარიმართება ქორწინების მიზნით საიმიგრაციო პროცესი?
ქორწინების მიზნით საიმიგრაციო პროცესი მოიცავს რამდენიმე ეტაპს შეერთებულ შტატებში კანონიერი საიმიგრაციო სტატუსის მოსაპოვებლად და დროთა განმავლობაში მოქალაქეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ეს ეტაპები დამოკიდებულია ქორწინების მიზნით გაცემული ვიზის ტიპზე, რომლითაც ჩამოსული ხართ შეერთებულ შტატებში, ასევე სხვა ფაქტორებზე. შემდგომი ინფორმაცია წარმოადგენს ზოგიერთი ამ ტიპის ვიზის მოკლე მიმოხილვას, და ასევე შეიცავს ინფორმაციას თქვენი სამართლებრივი უფლებების შესახებ.

K-1 არასაიმიგრაციო სტატუსი (როგორც შეერთებული შტატების მოქალაქის საცოლე(საქმრო): თქვენ მოგეთხოვებათ, რომ ან დაქორწინდეთ შეერთებული შტატების მოქალაქეზე ქვეყანაში შემოსვლიდან 90 დღის განმავლობაში, ან დატოვოთ ქვეყანა. აშშ-ის მოქალაქე საცოლეზე (საქმროზე), რომელმაც თქვენთვის წარადგინა პეტიცია, დაქორწინების შემდეგ თქვენ უნდა შეიტანოთ *მუდმივი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის, ანუ სტატუსის კორექტირების* განაცხადი (ფორმა I-485). იმ შემთხვევაში, თუ თქვენი I-485 ფორმა დამტკიცდება, თქვენი K არაიმიგრანტის სტატუსი შეიცვლება პირობითი დროებითი რეზიდენტის სტატუსით, რომელიც თქვენ გექნებათ ორი წლის განმავლობაში.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ აშშ-ში დარჩებით აშშ-ის მოქალაქეზე დაქორწინების გარეშე, რომელიც თქვენი K-1 ვიზის სპონსორი იყო, ან სხვა პირზე დაქორწინდებით, თქვენ დაარღვევთ თქვენი ვიზის პირობებს, არ გექნებათ სამართლებივი სტატუსი და თქვენს მიმართ შესაძლოა დაიწყოს სტატუსის მოხსნის პროცედურები, ან დაგეკისროთ სხვა ჯარიმები.

K-3 არასაიმიგრაციო სტატუსი (შეერთებული შტატების მოქალაქის მეუღლე): თქვენ შეგიძლიათ შეერთებულ შტატებში ჩამოხვიდეთ დროებით და დაელოდოთ ოჯახის წევრის სავიზო პეტიციის (I-130) დამტკიცებას. როდესაც I-130 ფორმა დამტკიცდება, თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ კანონიერი მუდმივი რეზიდენტის სტატუსი (მწვანე ბარათი) და დაგჭირდებათ *მუდმივი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის, ანუ სტატუსის კორექტირების* განაცხადის (I-485 ფორმა) შევსება.

ქორწინების მიზნით საიმიგრაციო სტატუსის მქონე ყველა სხვა პირმა უნდა იხელმძღვანელოს აშშ-ის საკონსულოს მიერ მისთვის მიცემული ინფორმაციით. დამატებითი ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია შემდეგ ვებ-გვერდზე: http://www.uscis.gov .

რა ჯარიმებია გათვალისწინებული ფიქტიური ქორწინებისათვის? იმიგრანტები, რომლებიც ჩაიდენენ ფიქტიური ქორწინების დანაშაულს, შეიძლება დაექვემდებარენ სტატუსის მოხსნის პროცედურებს და მომავალში შესაძლოა ვეღარ მიიღონ საიმიგრაციო სარგებელი შეერთებულ შტატებში. ფიქტიური ქორწინებისათვის გათვალისწინებული სასჯელი ხუთ (5) წლამდე პატიმრობას და 250,000 აშშ დოლარმდე (აშშ-ის ვალუტა) ჯარიმას ითვალისწინებს.

თუ მე დაქორწინებული ვარ აშშ-ის მოქალაქეზე, რომელმაც ჩემთვის წარადაგინა საიმიგრაციო დოკუმენტები, რა არის ჩემი საიმიგრაციო სტატუსი?
იმ შემთხვევაში, თუ 2 წელზე ნაკლებია გასული თქვენი ქორწინებიდან იმ პერიოდისათვის, როდესაც დამტკიცდება I-485 ფორმა, თქვენ მიიღებთ პირობითი მაცხოვრებლის სტატუსს *შეერთებული შტატების მოქალაქეობის და იმიგრაციის სამსახურიდან* (USCIS). ოთხმოცდაათი (90) დღით ადრე პირობითი მუდმივი მაცხოვრებლის სტატუსის მიღების თარიღიდან 2 წლის გასვლამდე, თქვენ და თქვენმა მეუღლემ, როგორც წესი, ერთად უნდა მიმართოთ თქვენი კანონიერი მაცხოვრებლის სტატუსთან დაკავშირებული პირობების მოსახსნელად.

სხვა რა გზების მეშვეობით ცდილობს აშშ-ის მთავრობა უცხოელი საცოლეების და მეუღლეების ინფორმირებას თავიანთი უფლებების შესახებ და მათი და მათი შვილების დაცვას ძალადობისაგან?

„საერთაშორისო პროფესიონალი შუამავლების მეშვეობით დაქორწინების შესახებ რეგულირების 2005 წლის აქტი“ (IMBRA) არის შეერთებული შტატების კანონი, რომლითაც შეიცვალა ქორწინების მიზნით საიმიგრაციო პროცესი, რათა დაეხმაროს უცხოელ საცოლეებს(საქმროებს) და მეუღლეებს. აშშ-ის მთავრობას ავალდებულებს

იმიგრანტ უცხოელ საცოლეებს(საქმროებს) და მეუღლეებს მიაწოდოს ინფორმაცია და უზრუნველყოს თვითდახმარების მექანიზმებით, რათა მათ იმ პარტნიორების ძალადობისაგან დაცვაში დაეხმარნენ, რომლებიც მათი ვიზების სპონსორები არიან. იმიგრანტი საცოლეები(საქმროები) და მეუღლეები ხშირად არ იცნობენ აშშ-ის კანონებს და ოჯახის, ან მეგობრების დახმარების გარეშე არიან, რათა მათ თავი დააღწიონ სახლში ძალადობას.

IMBRA-ით მოითხოვება ამ ბუკლეტის დაწერა და გავრცელება, რათა თქვენ მოგეწოდოთ ინფორმაცია იმ კანონებისა და მომსახურებების შესახებ, რომელიც შესაძლოა დაგეხმაროთ შეერთებულ შტატებში, თუ თქვენს მიმართ ძალადობას გამოიყენებენ. IMBRA-ით აშშ-ის მოქალაქეებს არ შეუძლიათ მრავალჯერ იყვნენ უცხოელი საცოლეების(საქმროების) ვიზების სპონსორები, თუ მათ აქვთ ძალადობრივი დანაშაულების ჩადენის ისტორია. IMBRA-ით აშშ-ის მთავრობას მოეთხოვება აშშ-ის მოქალაქეების უცხოელ საცოლეებს(საქმროებს) გაუგზავნოს კრიმინალური წარსულის შემოწმების ანგარიში, რომელსაც USCIS ახორციელებს აშშ-ის მოქალაქე-სპონსორების მიმართ, ასევე - გაუგზავნოს სპონსორობის განაცხადის ასლი.

როგორ არეგულირებს აშშ-ის მთავრობა „საერთაშორისო პროფესიონალ შუამავლებს“?

იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო აკმაყოფილებს „საერთაშორისო პროფესიონალი შუამავლის“ მოთხოვნებს, მას მოეთხოვება თქვენ მოგაწოდოთ აშშ-ში იმ კლიენტის პირადი კავშირების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც სურს თქვენთან დაკავშირება, მათ შორის ფედერალურ და შტატის დონეზე წარმოებულ სექსუალური მოძალადეების საჯარო რეესტრებში არსებული ინფორმაცია, და თქვენიდან მიიღოს წერილობითი ნებართვა იმ დრომდე, სანამ აშშ-ში კლიენტს გაუმჟღავნებს თქვენს საკონტაქტო ინფორმაციას.

სააგენტოს მოეთხოვება გადამოგცეთ წინამდებარე ბუკლეტის ეგზემპლარი.

აკრძალულია თქვენთან საქმიანი ურთიერთობის დაწყება, თუ თქვენ 18 წელი არ შეგსრულებიათ.

შემიძლია დავეყრდნო აშშ-ის მოქალაქე საცოლის ან საქმროს კრიმინალური წარსულის შესახებ ინფორმაციას? კრიმინალური წარსულის შესახებ ინფორმაცია, რომელიც სააგენტომ შეადგინა, ეყრდნობა სხვადასხვა საჯარო რესურსებს, ასევე აშშ-ის მოქალქე კლიენტების მიერ საიმიგრაციო განაცხადებში მითითებულ ინფორმაციის. USCIS-ს ხელი არ მიუწვდება შეერთებულ შტატებში არსებულ კრიმინალური ისტორიის მონაცემთა ყველა ბაზაზე. აშშ-ის მოქალაქე-სპონსორმა შესაძლოა არ თქვას სიამრთლე სპონსორობის განაცხადის შევსებისას. ასევე შესაძლოა, რომ აშშ-ის მოქალაქეს ძალადობრივი ქცევის ისტორია ჰქონდეს, მაგრაამ არასოდეს არ იყოს დაკავებული, ამ მსჯავრდებული.

ამდენად, კრიმინალური წარსულის შესახებ ინფორმაცია, რომელსაც თქვენ მიიღებთ, შესაძლოა არ იყოს სრული. IMBRA-ის განზრახვაა ხელმისაწვდომი ინფორმაცია და რესურსები იმიგრანტ საცოლეებს(საქმროებს) და მეუღლეებს მიაწოდოს. საბოლოოდ კი თქვენ ხართ პასუხისმგებელი გადაწყვიტოთ უსაფრთხოდ გრძნობთ თუ არა თქვენს ურთიერთობაში.

შესაძლებელია, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე საცოლეები, ან მეუღლეები, რომლებიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი არიან ადამიანით უკანონო ვაჭრობის მსხვერპლნიც იყვნენ?

ოჯახში ძალადობასთან ერთად შესაძლოა ზოგჯერ ასევე ადგილი ჰქონდეს ექსპლუატაციის სხვა ფორმებსაც, მათ შორის ადამიანით უკანონო ვაჭრობას, როდესაც ექსპლუატაცია მოიცავს იძულებით, ან ძალდატანებით შრომას, მომსახურებას, ან კომერციულ სექსს. ადამიანით უკანონო ვაჭრობის შემთხვევაში დახმარება შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი უწყებებიდან:

ადამიანით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული რესურს ცენტრი
1-888-373-7888
(24 საათი დღეში, 7 დღე კვირაში)
www.acf.hhs.gov/trafficking

ადამიანით უკანონო ვაჭრობისა და მომუშავეთა ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური ჯგუფის საჩივრების ცხელი სატელეფონო ხაზი, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი
1-888-428-7581
(ორშაბათი-პარასკევი, 9–5 სთ.)
www.usdoj.gov/crt/crim/tpwetf.php

დამატებითი ინფორმაცია შეიძლება მოიძიოთ ჩვენს ვებ-გვერდზე, ან ქვემოთ მითითებულ უფასო სატელეფონო ნომერზე დარეკვის გზით.

USCIS-ის ზოგადი ინფორამცია
შეერთებულ შტატებში უფასო
სატელეფონო ნომერია:

1-800-870-3676 or

ან ესტუმრეთ ჩვენს ინტერნეტ ვებ-გვერდს:
http://www.uscis.gov